პროექტი

საქართველოს კანონი

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.07.96, გვ. 11) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის:

ა) 1^3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^4-1^6 პუნქტები:

„1^4. გრანტად მიიჩნევა აგრეთვე სხვა სახელმწიფოს მიერ, სხვა სახელმწიფოს მოქალაქის ან იურიდიული პირის მიერ საქართველოს მოქალაქისთვის ან საქართველოში ბინადრობის უფლების მქონე პირისათვის, ასევე ამ კანონის მე-4 მუხლის „$დ^1$“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული იურიდიული პირისთვის ან საქართველოს იურიდიული პირისათვის ფულადი ან ნატურალური ფორმით გადაცემული სახსრები, რომელიც ხმარდება ან შეიძლება მოხმარდეს საქართველოს ხელისუფლებაზე, სახელმწიფო დაწესებულებებზე ან საზოგადოების ნებისმიერ ნაწილზე რაიმე გავლენის მოხდენის რწმენით ან განზრახვით განხორციელებულ ან განსახორციელებელ ისეთ საქმიანობას, რომელიც მიმართულია საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებისკენ, გატარებისკენ ან შეცვლისკენ, აგრეთვე ხმარდება ან შეიძლება მოხმარდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც უცხო ქვეყნის ხელისუფლების ან უცხოური პოლიტიკური პარტიის პოლიტიკური ან საჯარო ინტერესებიდან, მიდგომებიდან ან ურთიერთობებიდან გამომდინარეობს.

1^5. გრანტად აგრეთვე მიიჩნევა ამ მუხლის 1^4 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად:

ა) ფულადი ან ნატურალური ფორმით გადაცემული სახსრები, რომლის სანაცვლოდ ამ სახსრების მიმღები ამავე სახსრების გამცემისთვის ტექნიკურ დახმარებას ეწევა ტექნოლოგიების, სპეციალიზებული ცოდნის, უნარების, ექსპერტიზის გაზიარების, მომსახურების ან/და სხვა სახის დახმარების ფორმით;

ბ) უსასყიდლოდ გაწეული ტექნიკური დახმარება ტექნოლოგიების, სპეციალიზებული ცოდნის, უნარების, ექსპერტიზის გაზიარების, მომსახურების ან/და სხვა სახის დახმარების ფორმით.

1^6. გრანტად მიიჩნევა აგრეთვე სხვა სახელმწიფოს იურიდიული პირის მიერ საქართველოში რეგისტრირებული თავისი წარმომადგენლობისთვის, ფილიალისთვის ან განყოფილებისთვის ფულადი ან ნატურალური ფორმით გადაცემული სახსრები (ეს პუნქტი არ ვრცელდება ბიზნეს საქმიანობის განხორციელების მიზნით ფულადი სახსრების გადაცემის შემთხვევაზე).“.

2. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$დ^1$“ ქვეპუნქტი:

„$დ^1$) სხვა სახელმწიფოს იურიდიული პირი, რომლის საქმიანობა არსებითად მოიცავს საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებზე აქტივობას.“.

3. 5^1 მუხლის:

ა) 1^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^2 პუნქტი:

„1^2. საქართველოს მთავრობის ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს თანხმობას საჭიროებს იმ სხვა სახელმწიფოს იურიდიული პირის მიერ ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული გრანტის მიღება, რომლის საქმიანობა არსებითად მოიცავს საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებზე აქტივობას.“.

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს ფულადი ან ნატურალური ფორმით გადაცემული იმ სახსრების გაცემა ან/და მიღება, რომლებიც თავისი ბუნებით გრანტია, მაგრამ გაცემულია/მიღებულია ამ კანონის მე-5 ან 5^2 მუხლით განსაზღვრულისგან განსხვავებული, მოჩვენებითი ან თვალთმაქცური გარიგების საფუძვლით.“.

4. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^2 მუხლი:

„მუხლი 5^2. ამ კანონის მე-2 მუხლის 1^4-1^6 ქვეპუნქტით გათვალისწინებული გრანტის გაცემის წესი

1. ამ კანონის მე-2 მუხლის 1^4-1^6 ქვეპუნქტით გათვალისწინებული გრანტის გაცემის საფუძველია მხარეთა შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება (განურჩევლად იმისა, იგი ერთი დოკუმენტით არის წარმოდგენილი თუ რამდენიმე, ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტით, და მიუხედავად მისი კონკრეტული სახელწოდებისა), ხოლო თუ ამ მუხლით გათვალისწინებული გრანტის გამცემი ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სუბიექტია - მისი წერილობითი გადაწყვეტილება.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული გრანტის გაცემა საჭიროებს საქართველოს მთავრობის ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს თანხმობას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება ან ხელშეკრულების პროექტი ფულადი ან ნატურალური ფორმით გადასაცემი სახსრების გადამცემმა თანხმობის მისაღებად საქართველოს მთავრობას ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს/ორგანოს უნდა წარუდგინოს. საქართველოს მთავრობა ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი/ორგანო უფლებამოსილია გრანტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა მოითხოვოს.“.

5. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი მოთხოვნების დარღვევა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.“.

6. 6^1 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გრანტის თანხმობის გარეშე გაცემისა და მიღების მონიტორინგს ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. თუ მონიტორინგის განხორციელების დროს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედება გამოავლინა, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ვალდებულია მის ხელთ არსებული ყველა მასალა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის საგამოძიებო ორგანოს გადაუგზავნოს.“.

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1[1] პუნქტი:

„1[1]. ამ კანონის ისეთი დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, ამ დარღვევასთან დაკავშირებით გამოძიებას ატარებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი საგამოძიებო ორგანო.“.

7. 6[4] მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. ამ მუხლის პირველი ნაწილი ვრცელდება მხოლოდ იმ სხვა სახელმწიფოს იურიდიული პირის საქართველოში რეგისტრირებული ფილიალის მიერ იმ გრანტის მიღების შემთხვევაზე, რომელიც მან იმ იურიდიული პირისგან მიიღო, რომლის ფილიალიც ის არის.“.

მუხლი 2.

1. თუ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის 5[1] მუხლის „1[2]“ პუნქტით გათვალისწინებულმა სხვა სახელმწიფოს იურდიულმა პირმა გრანტი ამ კანონის ამოქმედებამდე მიიღო და ეს გრანტი არ გამოუყენებია, ეს იურიდიული პირი ვალდებულია მიღებული გრანტის გამოყენებაზე თანხმობის მისაღებად ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს მთავრობას ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს/ორგანოს მიმართოს. თანხმობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ამ იურიდიულ პირს ეკრძალება მიღებული გრანტის საქართველოსთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხებზე აქტივობის განსახორციელებლად გამოყენება. მიღებული გრანტის გამოყენება იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 319[1] მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

2. თუ ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შესაბამის პირს გრანტი საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აქვს მიღებული და ეს გრანტი არ გამოუყენებია, ეს პირი ვალდებულია მიღებული გრანტის გამოყენებაზე თანხმობის მისაღებად ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს მთავრობას ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს/ორგანოს მიმართოს.

3. თუ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პირს მიღებული აქვს ისეთი გრანტი, რომელიც გრანტის მიღების დროს საქართველოს მთავრობის ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ თანხმობის არ საჭიროებდა, თუმცა ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის ეს გრანტი ასეთ თანხმობას საჭიროებს, ამ გრანტის მიმღები ვალდებულია მიღებული გრანტის გამოყენებაზე თანხმობის მისაღებად ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს მთავრობას ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს/ორგანოს მიმართოს. ამ კანონის ამოქმედების მომენტიდან თანხმობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ამ იურიდიულ პირს ეკრძალება მიღებული გრანტის გამოყენება. მიღებული გრანტის გამოყენება იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**